



## საქართველოს საგადასახადო და საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელებთ კანონმდებლობით

### შესამლო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

საქართველოს პარლამენტი განიხილავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესამლო ცვლილებებს, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს ფიზიკურ პირებს გამოისყიდონ უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ბინები ყოფილი კრედიტორებისგან.

აღნიშნული ცვლილებების თანახმად, დღე-სგან თავისუფლდება ყოფილი კრედიტორის მიერ ფიზიკური პირისათვის საცხოვრებელი ბინის/სახლის გადაცემა, თუ მიმწოდებელს ეს ქონება ამავე ფიზიკური პირისაგან მიღებული აქვს სახელმეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში.

თარიღი  
აპრილი 2016

ამ თვის გამოცემაში შეგიძლიათ იხილოთ:

შესამლო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში

კანონპროექტი „ინოვაციების შესახებ“

შესამლო ცვლილებები „დაზღვევის შესახებ“ კანონში

შესამლო ცვლილებები „სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში

მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

## კანონპროექტი „ინოვაციების შესახებ“

საქართველოს პარლამენტში ინიცირებულია ახალი კანონპროექტი ინოვაციების შესახებ. კანონპროექტის მიზანია, ქვეყანაში ცოდნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა.

კანონპროექტი შექმნის ინოვაციების ეკოსისტემის სამართლებრივ ჩარჩოს, განსაზღვრავს ინოვაციური საქმიანობის სუბიექტებს და მათ უფლებებს, საჯარო ინტერესების შესაბამისად მოაწესრიგებს ინოვაციური საქმიანობის სახელმწიფო დაფინანსების შედეგებს, შექმნის ინტელექტუალური პროდუქტების, ინოვაციების და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ერთიან სისტემას, რომელიც მიმართული იქნება ასეთი პროდუქტების საექსპერტო პოტენციალის გაძლიერებისკენ.

კანონპროექტის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, ხელი შეუწყოს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას.

აღნიშნული კანონპროექტი განაპირობებს ცვლილებების შეტანის საჭიროებას სხვადასხვა კანონებშიც, კერძოდ:

- „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონი
- „საქართველოს საპატენტო კანონი“
- „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“
- „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონი

## შესაძლო ცვლილებები „დაზღვევის შესახებ“ კანონში

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში შეიძლება განხორციელდეს ცვლილებები, რომელთა მიზანია სადაზღვევო კომპანიებში მართვის სისტემის ერთიანი სტანდარტის დანერგვა სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორებისაგან შემდგარი რგოლის ფორმით, რომელიც დაფუძნებული იქნება მკაფიოდ გამიჯნულ, სათანადოდ გადანაწილებულ პასუხისმგებლობაზე და დაექვემდებარება რეგულარულ შიდა ანალიზსა და კონტროლს.

ცვლილებები განაპირობებს სალიცენზიო პირობების დახვეწასა და მის გაფართოებას თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისად და სადაზღვევო ბაზარზე არასათანადოდ კვალიფიციური მზღვეველის დაშვების რისკის შემცირებას, გარდა ამისა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სადაზღვევო სისტემის ფორმირებასა და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

## შესაძლო ცვლილებები „სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში

საქართველოს პარლამენტი განიხილავს „სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაძლო ცვლილებებს, რომელთა მიზანია უზრუნველყოს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე და ხელი შეუწყოს საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებისათვის ფასიანი ქაღალდების (განსაკუთრებით, დიდი მოცულობის ფასიანი ქაღალდების) საჯარო შეთავაზებას.

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს ცვლილებას, რომლის მიხედვით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული ფასიანი ქაღალდებისა და შეთავაზებების რეგისტრაციისათვის სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ფასიანი ქაღალდების საერთო ღირებულების 0.1 %-ით, მაგრამ არაუმეტეს 5 000 ლარისა.

ცვლილებების თანახმად, 2021 წლის 1 იანვრამდე შესაბამისი პირები არ გადაიხდიან ფასიანი ქაღალდებისა და შეთავაზებების რეგისტრაციისათვის დაწესებულ სარეგისტრაციო მოსაკრებელს და საქართველოს ეროვნული ბანკი აღნიშნულ რეგისტრაციას განახორციელებს კანონით განსაზღვრული სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდევინების გარეშე.

## მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილება

2016 წლის 17 მარტს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა დაუსწრებელ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ( საქმე # ას-121-117-2016).

სადავო საკითხს წარმოადგენდა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი იმ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც გამოტანილი იყო სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობის გამო.

სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, პირველ და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში ნებადართულია. რაც შეეხება შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანას, ასეთი დაშვებულია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში. მსგავსი შინაარსის ნორმა სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების მომწესრიგებელ ნორმებში არ მოიპოვება.

სასამართლო აგრეთვე განმარტავს: მიუხედავად იმისა, რომ საქმის მომზადების მიზნით პირველი ინსტანციისათვის დადგენილი წესები თითქმის მთლიანად ეხება სააპელაციო სასამართლოსაც, სააპელაციო შესაგებელს გააჩნია მხოლოდ სააპელაციო სასამართლოსათვის დამახასიათებელი თავისებურებები. სააპელაციო შესაგებელი, როგორც საპროცესო საშუალება, არ შეიძლება გავაიგიოთ სარჩელის წინააღმდეგ მიმართულ შესაგებელთან. შესაბამისად, სააპელაციო შესაგებლის წარუდგენლობას, არ შეიძლება მოჰყვეს ისეთივე შედეგები, რადგანაც აპელაციაში იხილება სადავო ფაქტები და მტკიცებულებები და ამ სტადიაზე შესაგებლის წარუდგენლობით არ განისაზღვრება პირველ ინსტანციაში შესაგებლის წარუდგენლობის მსგავსად მტკიცების საგანი.

შესაბამისად, სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოში შესაგებლის წარუდგენლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მიზანშეუწონელია, სააპელაციო სასამართლოს საქმისწარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე და შესაბამისი მუხლის არარსებობის გამო.

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

**გიორგი თავართქილაძე**

საგადასახადო და იურიდიული  
დეპარტამენტის უფროსი  
[gtavartkiladze@deloitte.ge](mailto:gtavartkiladze@deloitte.ge)

**გიორგი ხუროძე**

იურიდიული სამსახურის უფროსი  
[gkhurodze@deloitte.ge](mailto:gkhurodze@deloitte.ge)

[Home](#) | [Security](#) | [Legal](#) | [Privacy](#)



ლ. ასათიანის ქ. 36ა  
თბილისი, 0105 საქართველო

@ 2016 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც "Deloitte Global") კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ [www.deloitte.com/about](http://www.deloitte.com/about). დელოიტის საქართველოს ოფისის იურიდიული სტრუქტურის დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ <http://www2.deloitte.com/ge/ka/pages/about-deloitte/articles/about-deloitte.html>.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, Deloitte Touche Tohmatsu Limited-ი, მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (რომელთა ერთობლიობა შეადგენს „დელოიტის ქსელს“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებენ პასუხისმგებლობას პროფესიონალური მომსახურების მიწოდებაზე. დელოიტის ქსელის არცერთი წევრი ორგანიზაცია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.